

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ივლისი 2012

## **დორევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ - 41526/10**

გადაწყვეტილება 24.7.2012 [I სექცია]

### **მუხლი 3**

#### **პოზიტიური ვალდებულებები**

ძალადობრივი და გამუდმებითი შევიწროვება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მეზობელი ბავშვების მხრიდან: დარღვევა

ფაქტები – პირველი მომჩივანი, რომელიც იყო მენტალურად და ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ცხოვრობდა მის დედასთან (მეორე მომჩივანი), პირველ სართულზე ბინაში. ორივე მომჩივანი ასაჩივრებდა რომ ისინი განგრძობადად იყვნენ შევიწროვებულნი 2008 წლის ივლისიდან 2011 წლის თებერვლამდე გვერდზე არსებული საწყისი სკოლიდან და იმის თაობაზე რომ ხელისუფლების ორგანოებმა ადეკვატურად არ დაიცვეს ისინი. ინციდენტების სერია დაფიქსირებულ იქნა იმ პერიოდში, როდესაც ბავშვები რეკავდნენ სახლის ზარზე უცნაურ დროს, აფურთხებდნენ პირველ მომჩივანს, ურტყავდნენ და უკნიდან კრავდნენ ხელს, უწვავდნენ ხელს სიგარეტით, ვანდალურად აზიანებდნენ მომჩივანების აივანს და უყვიროდნენ მათ უხამსობას. მოცემულმა თავდასხმებმა მომჩივანი დატოვეს ღრმად აფორიაქებული, შეშინებული და აღელვებული. მათ შეიტანეს საჩივარი მრავალ შემთხვევაში სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის სოციალურ სამსახურებში და ომბუდსმენთან. მათ ასევე ხშირად დარეკეს პოლიციაში რათა შეეტყობინებინათ ინციდენტების შესახებ და ეთხოვათ დახმარება. თითოეული ზარის შედეგად პოლიცია გამოცხადდა ადგილზე, ზოგჯერ დაგვიანებითაც და ზოგჯერ მხოლოდ იმისათვის რომ ეთქვათ ბავშვებისთვის დაშლილიყვნენ ან შეეწყვიტათ ხმაური. მათ ასევე დაკითხეს რამდენიმე მოსწავლე და დაადგინეს რომ მიუხადავად იმისა რომ მათ აღიარეს რომ იქცეოდნენ ძალადობრივად პირველი მომჩივანის მიმართ ისინი იყვნენ ძალზედ ახალგაზრდები რომ მომხდარიყო მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

კანონი – მუხლი 3 (პირველი მომჩივანი): პირველი მომჩივანი განგრძობადად ხდებოდა შევიწროვების მსხვერპლი, და ამის შედეგად, თავს გრძნობდა დახმარების გარეშე და იყო შიშის ქვეშ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ის აგრეთვე, ერთ შემთხვევაში იყო

ფიზიკურად დაზიანებული. მოცემული არაადამიანური მოპყრობა იყო საკმაოდ სერიოზული რათა გამოყენებულიყო მე-3 მუხლის დაცვა.

ძალადობის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს, როგორც წესი, მოითხოვს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. თუმცა, მოცემულ საქმეში უმრავლესობა სავარაუდო დამრღვევების გახლდათ ბავშვები თოთხმეტ წლამდე, რომლებიც არ შეიძლება გამხდარიყვნენ სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებლები ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით. აგრეთვე შესაძლებელი იყო, რომ არც ერთი აქტი რომელიც გასაჩივრდა თავისთავად არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს, თუმცა მოცემული ინციდენტები აღებული ერთიანობაში შეუსაბამო იყო მე-3 მუხლთან. პირველი მომჩივანის საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას სიცუაციაში, რომელიც ექცეოდა სისხლის სამართლის კანონის მიღმა, სადაც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები საქმის კურსში იყვნენ სერიოზული შევიწროვების შესახებ იმ პირის მიმართ რომელსაც ქონდა ფიზიკური და მენტალური შეზღუდული შესაძლებლობები. ხელისუფლების ორგანოები საქმის კურსში იყვნენ შევიწროვების შესახებ დასაწყისიდან და შესაბამისად ვალდებულების ქვეშ რომ გადაედგათ ყველა გონივრული ნაბიჯი რათა დაეცვათ პირველი მომჩივანი. მიუხედავად იმისა რომ პოლიციამ დაკითხა რამდენიმე ბავშვი, რომლებიც თითქოსდა იყვნენ ამაში ჩართულნი და მათი მშობლები, არანაირი სერიოზული მცდელობა არ იქნა მიღებული რათა შეეფასებინათ რეალური სიტუაცია და არ ყოფილა სისტემური მიდგომა, რამაც გამოიწვია ადექვატური და სრულყოფილი ღონისძიებების არ არსებობა. პოლიციის მიერ დადგენილს არ მოყოლია კონკრეტული მოქმედება: არანაირი პოლიტიკის გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ან მონიტორინგის მექანიზმები შემოღებული რათა აღიარებულიყო და თავიდან აცილებულიყო დამატებითი შევიწროება. სასამართლო განსაკუთრებით გარკვერებულია რაიმე რეალური ჩართულობის არ არსებობით სოციალური სამსახურების მხრიდან და რაიმე ნიშნის არ არსებობით რომ შესაბამისი ექსპერტები იყვნენ ჩართულები, რომლებსაც შეეძლოთ მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები და ემუშავათ შესაბამის ბავშვებთან. არანაირი კონსულტაცია არ იქნა შეთავაზებული პირველი მომჩივანისთვის. ხელისუფლების ორგანოებმა შესაბამისად არ მიიღეს გონივრული ღონისძიებები რათა დაეცვათ პირველი მომჩივანი, მიუხედავად განგრძობადი შევიწროვების რეალური და განჭკრეტადი რისკისა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 8 (მეორე მომჩივანი): პირველი მომჩივანის შევიწროვებას თავისთავად ქონდა ეფექტი მისი დედის, მეორე მომჩივანის, პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. მისი დადგენილების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ადექვატურად ვერ აარიდეს პირველი მომჩივანის დამატებით შევიწროვებას, სასამართლოს მხოლოდ ისღა დარჩენია რომ დაადგინოს რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ადექვატური დაცვა მეორე მომჩივანის მიმართაც.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

მუხლი 41: 11,500 ევრო ერთობლივად მორალური ზიანისთვის.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

Click here for the [Case-Law Information Notes](#)